

ჟან კაროლი

რუსული კოლონიზაცია, კავკასიის ორი გზა...

1894 წელს თავის ძმისშვილთან ერთად კავკასიაში იმოგზაურა ფრანგმა მწერალმა, ჟურნალისტმა და კრიტიკოსმა, ჟან კაროლმა¹. ჟან კაროლი გვაწვდის თბილისის მოსახლეობის დახასიათებას. მისი ცნობით თბილისის არისტოკრატის ნაღები ინგლისურ კლუბში იკრიბებოდა, სადაც ყველა ფრანგულად საუბრობდა და „რუსულად ვახშობდა“. საინტერესოა კაროლის ცნობები თბილისში ალექსანდრე II-ს კარზე დიდი გავლენის მქონე ცნობილი პირების თბილისში გადასახლების შესახებ.

Jean Carol. Colonisation russe, les deux routes du Caucase.

Notes d'un touriste. Ouvrage contenant trente-quatre illustrations et deux cartes.

Librairie Hachette et C^{ie}, Paris, 1899

Si ailleurs on étonne les touristes en raison de leur affluence, ici on les rançonne en raison de leur rareté. Vous vous doutez bien que le Caucase est moins fréquenté que la Suisse. Aussi est-il pauvre, très pauvre d'argent. Sous son air ambitieux de capitale, Tiflis sent la misère. Dans cette ville où il y a des bains de marbre fastueux, mais où la volaille se nourrit en picorant le crottin des rues, les mendiants ne se comptent pas, et l'on devine que la plus grande partie de la population aristocratique n'a pas un rouble en poche. (34)

სხვა ადგილებში ტურისტებს მათი სიმრავლის, აქ კი მათი სიმცირის გამო წეწავენ. ადვილი გასაგებია, რომ კავკასიაში გაცილებით ნაკლები ტურისტია, ვიდრე შვეიცარიაში. ასე რომ, ის ღარიბი, ძალიან ღარიბია ფულის თვალსაზრისით. დედაქალაქის ამბიციური იერსახის მიღმა, თბილისში სიღარიბე იგრძნობა. ამ ქალაქში, სადაც მარმარილოს დიდებული აბანოებია, მაგრამ შინაური ფრინველი ქუჩაში კენკავს ნაკელს, მათხოვარს კი ვერ მოითვლი, მიხვდები, რომ არისტოკრატიული მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯიბეში ერთი რუბლიც არ უდევს.

A la vérité, Tiflis est moins une ville qu'un campement. Des êtres pittoresques, venus de tous les points de l'Orient, y séjournent mais n'y font pas souche. On y parle plus de soixante langues, et c'est une confusion de plusieurs races résolues à ne pas se (34) mélanger. Il y a deux fois plus d'hommes que de femmes: cela tient à ce que les nombreux immigrants, forcés ou volontaires, n'y transportent pas leurs foyers, dans l'espoir que leur fortune sera bientôt faite ou que leur exil durera peu. (35)

სინამდვილეში, თბილისი უფრო ბანაკია, ვიდრე ქალაქი. აღმოსავლეთის ყველა წერტილიდან მოსული თვალწარმტაცი არსებები იქ ჩერდებიან, მაგრამ არ სახლდებიან. იქ სამოცზე მეტ ენაზე ლაპარაკობენ და ეს არის რამდენიმე რასის ნაკრები, რომლებიც ერთმანეთში შერევას არ აპირებენ. მამაკაცი ქალზე ორჯერ მეტია: ეს იმიტომ, რომ იძულებით თუ ნებაყოფლობით ჩასულ მრავალ ემიგრანტს იქ იმ იმედით არ გადაჰყავს თავისი ოჯახი, რომ მალე გამდიდრდება და მისი გადასახლება დიდხანს არ გაგრძელდება.

Car ce n'est pas toujours de son plein gré qu'on habite Tiflis, surtout quand on est Russe et que l'on est un personnage. Politiquement, le Caucase est à la Sibérie ce que le purgatoire est à l'enfer. On y relègue pour un temps plus ou moins long les dignitaires tombés en disgrâce. J'en ai vu d'illustres, à qui allaient discrètement les sympathies et les respects de tous: des généraux, des conseillers privés,

¹ ჟან კაროლი გაბრიელ ლაფაის (1848-1922) ფსევდონიმია.

dont l'influence était grande sous l'empereur Alexandre II. Le changement survenu dans la politique intérieure et extérieure de la Russie n'a pas permis à Alexandre III de conserver tous les amis de son père. Et voilà pourquoi l'on trouve à Tiflis, errant du club à la maison meublée, ayant au cœur et dans les yeux la nostalgie du ciel de neige, des hommes qui naguère parlaient haut dans les chambres d'or du Palais d'hiver. Aujourd'hui, non seulement ils se taisent, mais leurs gestes même sont surveillés. (35)

ამიტომ, თბილისში ყოველთვის თავისი ნებით არ ცხოვრობენ, განსაკუთრებით, როდესაც ის რუსი და მნიშვნელოვანი პირია. პოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასია ციმბირის მიმართ ის არის, რაც განსაწმენდელი ჯოჯოხეთის მიმართ. შერისხულ წარჩინებულ მოხელეებს იქ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით ასახლებენ. მე ვნახე ცნობილი პირები – იმპერატორ ალექსანდრე II-ს დროს დიდი გავლენის მქონე გენერლები და პირადი მრჩეველები, რომელთა მიმართ ყველა თავდაჭერილად გამოხატავდა სიმპათიასა და პატივისცემას. რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ცვლილებამ ალექსანდრე III-ს თავის მამის ყველა მეგობრის შენარჩუნების საშუალება არ მისცა. აი, ამიტომ ვხვდებით თბილისში კლუბიდან მეზღირებული ოთახებისკენ ნელა მიმავალ იმ კაცებს, რომელთაც გულსა და თვალეში თოვლიანი ცის ნოსტალგია ჩასდგომიათ, კაცებს, რომლებიც ოდესღაც ხმამაღლა საუბრობდნენ ზამთრის სასახლის ოქროს დარბაზებში. დღეს ისინი არა მხოლოდ დუმან, არამედ მათ შესტებსაც უთვალთვალევენ.

La fine fleur de l'aristocratie de Tiflis hante le *Club anglais*. N'allez pas induire de cette appellation que l'on se trouve là dans un milieu anglophile. En Russie, il n'y a pas de parti anglais: il n'y a qu'un parti allemand, d'ailleurs plus entamé de (35) jour en jour, – et puis, au Caucase, on ne fait pas de politique.

თბილისის არისტოკრატის ნაღები ინგლისური კლუბის ხშირი სტუმარია. ამ სახელწოდების მიხედვით არ დაასკვნათ, რომ იქ ანგლოფილურ გარემოში იმყოფებით. რუსეთში არ არის ინგლისური პარტია: იქ მხოლოდ ერთი გერმანული პარტიაა, რომელიც დღითიდღე უფრო სუსტდება და ამას გარდა, კავკასიაში პოლიტიკით არ არიან დაკავებულნი.

Présenté par M. Milioutine, publiciste qui porte avec distinction un nom illustre, je reçois dans cette noble compagnie l'accueil le plus gracieux. Les grands seigneurs russes, quand ils sont bien lunés, quand leurs passions ne percent pas le velours de leur enveloppe, sont d'incomparables séducteurs. Ils ont des sourires de femme et le geste inégalement exquis. J'ai gardé le souvenir d'une causerie délicieuse avec un certain colonel de cosaques qui était la finesse même. Chez le général Kischmitcheff, héros de la guerre de Kars, rejeton d'une famille d'Arménie qui a plus de mille ans de noblesse, j'ai trouvé quelque chose de plus rare encore dans un soldat: la tendresse du cœur n'ayant aucune fausse honte a se laisser voir. (36)

ამ კეთილშობილ საზოგადოებაში, სადაც მეტად თავაზიანად მიმიღეს, ბატონმა პუბლიცისტმა მილიუტინმა² წარმადგინა, რომელიც ღირსეულად ატარებს თავის ცნობილ გვარს. როდესაც რუსი წარჩინებულები კარგ განწყობაზე არიან, მათი ვნებები კი მათი სამოსის ხავერდს არ ხვრეტს, შეუდარებლად მაცდუნებლები არიან. მათ ქალური ღიმილი და შეუდარებლად დახვეწილი შესტები აქვთ. მე კვლავ მახსოვს სასიამოვნო საუბარი კაზაკების ერთ-ერთ პოლკოვნიკთან, რომელიც მეტად დახვეწილი იყო. ათასწლოვანი კეთილშობილი

² იური ნიკოლოზის ძე მილიუტინი (1856–1912) – საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი. 1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, 1892–1894 წლებში იყო გაზეთ «Кавказ»-ის რედაქტორი. <http://all-photo.ru/portret/miliutin/index.ru.html>

სომხური ოჯახის შთამომავლისა და ყარსის ომის გმირის, გენერალი ქიშიშევის³ სახლში ჯარისკაცისთვის კიდევ უფრო იშვიათი რამ ვნახე: მგრძობიარე გული ყალბი სირცხვილის გარეშე.

Malgré sa cendre et son odeur de vin, Tiflis abonde en détails pittoresques, surtout dans les quartiers arméniens et persans situés contre le rocher où le château des Bagratides dresse le hautain décor de ses ruinés (43).

თავისი ფერფლის ფერისა და ღვინის სუნის მიუხედავად, თბილისში ბევრი თვალწარმტაცი დეტალია, განსაკუთრებით იმ კლდის პირდაპირ მდებარე სომხურ და სპარსულ უბნებში, რომელზეც ბაგრატიონების ციხესიმაგრე აღმართულა თავისი ნანგრევების ზვიადი დეკორით.

თარგმნა ირინე ნაჭყეზიამ

³ სტეფანე ქიშიშევი (1833-1897) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე.